შემოსავლების სამსახური

ბრძანება N 31899

30/06/2014

რიგი გადამხდელების მიმართ ვალდებულების დამდგენი დოკუმენტის საჯაროდ გავრცელების თაობაზე

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის მე-10 ნაწილის და "გადასახადების ადმინისტრირების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ვინაიდან ვერ ხერხდება დანართი №1 –ში მითითებულ გადამხდელებზე გამოცემული „საგადასახადო მოთხოვნების" კოდექსის დადგენილი წესით ჩაბარება, აღნიშნულ დანართში მითითებულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გადამხდელებისათვის საჯარო შეტყობინებების მიზნით განხორციელდეს მათი საჯაროდ გავრცელება.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსების მიზნით, დანართ №1-ში მითითებული „საგადასახადო მოთხოვნები" გადაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საფინანსო ანალიტიკურ სამსახურს.

3. საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრმა უზრუნველყოს დანართ №1-ში ჩამოთვლილი „საგადასახადო მოთხოვნები" შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე (www.rs.ge) გამოქვეყნება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: აუდიტის დეპარტამენტის უფროსის №64182-21-14 18.06.2014 წ სამსახურებრივი ბარათი.

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი